9 აპრილი ქართველთა ტრაგედიისა და დამოუკიდებლობის დღე!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

7 აპრილი
ხუთშაბათი
2022 წელი
№14 (9224)
ფასი 40 თეთრი

## დასაქმების პროგრამა მოქმედებაში



**საზოგადოებრივ** სამუშაოებზე დასაქმების პროექტი 1 მარტს დავიწყეთ, ერთი თვე გავიდა და გვაქვს შედეგი, რომ დაახლოებით 20000 ვაკანსიაზე ინტერესი გამოხატა 17000-მა ადამიანმა, უკვე დაკონტრაქტებულია 2900-ზე მეტი პირი. ძალიან გვიხარია ეს შედეგი, - აღნიშნულის შესახებ განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა, **ზურაბ აზარაშვილმა** მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

- საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებული სოციალურად დაუცველი პირები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში არიან დასაქმებულები.

- ისინი დასაქმებულები არიან ისეთ სამუშაოებზე, როგორიცაა ბაღში დამხმარე, ასევე საოფისე სამუშაოები, სხვადასხვა სატყეო სამუშაოები, მუშაობენ ტერიტორიების კეთილმოწყობისა და გამწვანების მიმართულებით და სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოებზე ინფრასტრუქტურის კუთხით.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად, ბენეფიციარს დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზეც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი, დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურადაა დასაქმებული და საქმიანობის ფორმალიზებას მოახდენს. ღია შრომის ბაზარზე დასაქმება, ასევე საქმიანობის ფორმალიზება ჯამში 2300-ზე მეტმა პირმა აირჩია.

## საზეიმო დახვედრა უკრაინელ აღსაზრდელს

**უკრაინის** მოქალაქე, 5 წლის **ილია სიმონენკო** ბორჯომის მუნიციპალიტეტის №4 საბავშვო ბაღში ჩაირიცხა. აღსაზრდელი დღეს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბორჯომის ჯანმრთელი მომავალის დირექტორმა **ნინო ბენდელიანმა** მოინახულა და საჩუქრები გადასცა. მან პატარა აღსაზრდელს წარმატებები უსურვა, მისი ოჯახის წევრებს კი მაქსიმალური თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა.

პატარა ილიას, საბავშვო ბაღში საზეიმო დახვედრა მოუწყვეს, ბაღის აღსაზრდელები ქართული და უკრაინული მუსიკალური ნომრებით წარდგნენ სტუმრების წინაშე.

ილია, დედასთან **მარინა შავიძე-სიმონენკოსთან** ერთად, ბორჯომში კიევიდან ჩამოვიდა. ბავშვის დედა წარმოშობით ბორჯომიდან არის და



ოჯახთან ერთად უკრაინაში ცხოვრობს. საომარი მოქმედებების გამო, ბავშვი დედამ საქართველოში ჩამოიყვანა, - განაცხადა გაერთიანების დირექტორმა ნინო ბენდელიანმა.

## მუნიციპალურ ტრანსპორტს ოთხი მარშრუტი ემატება



**4 აპრილიდან** ბორჯომის მუნიციპალურ ტრანსპორტს ოთხი მიმართულება ემატება. ახალი ავტობუსები სოფელ ჭობისხევის, ჩითახევის, დვირის, ქვაბისხევის და ახალი უბანის დასახლების მიმართულებით იმოძრავებენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, კვირა დღეს, არდაგანისა და ახალი უბანის დასახლებაში, ასევე სოფელ ლიკანში და ყვიბისში დაინიშნა მუნიციპალური ტრანსპორტი.

უახლოეს მომავალში მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა ახალდაბის მიმართულებითაც იგეგმება.

## მედია სემინარი თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებით

**28-29 მარტს** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის(NCDC), ორგანიზაცია საერთაშორისო კავშირი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა წინააღმდეგ (The Union) თანამშრომლობითა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, სასტუმრო **„ბორჯომი-ლიკანში“** მედია სემინარი გაიმართა თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც მიეძღვნა თემას: **„საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე**“.

ეს დღე ყოველ წელს სხვადასხვა პრიორიტეტული პრობლემით აღინიშნება. წელს კი საზოგადოების ჩართულობის გააქტიურების დევიზით გაიმართა. ვინაიდან საზოგადოების აქტიური როლი და პოზიტიური გავლენა გადამწყვეტია თამბაქოს მოხმარების პრევენციისთვის.



ორი დღის მანძილზე, მომხსენებლებმა მიმოიხილეს თამბაქოს კანონის 2017-2021 წლის ცვლილებებამდე, ისაუბრეს თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე, თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის და თამბაქოს ინდუსტრიის ჩაურევლობის ნორმატიული აქტის პროექტის, თანამედროვე ელექტრონული სიგარეტების, გასახურებელი თამბაქოს, მოწევისთვის თავის დანებების სერვისებისა და საშუალებების, სახელმწიფოს მიერ თამბაქოსთან დაკავშირებით კანონში შესული ცვლილებების და გამოწვევების (მოწევის აკრძალვა ტაქსებში და ავტომობილებში, არასრულწლოვნის გადაყვანისას, რეკლამა-პოპულარიზაციის საკითხების, გამკაცრებული სანქციების, აღსრულების, არომატიზატორების გამოყენებას თამბაქოს ნაწარმებში) შესახებ.

მომხსენებლებმა მედიის წარმომადგენლებს გააცნეს პროექტი **„თამბაქოს კვამლისაგან თავისუფალი კოალიციები საქართველოსა და სომხეთში: რანდომიზირებული კვლევა“**.

ხულოს, დმანისის, მარტვილის, გორის, დედოფლისწყაროს, ახალციხისა და ვანის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა პროექტის ფარგლებში კოალიციის მიერ წარმოებული მიღწევები წარადგინეს.

თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და ამავდროულად, პრევენცირებადი პრობლემაა. თამბაქოს გლობალური ეპიდემია უკავშირდება ყოველწლიურად დაახლოებით 8 მილიონი ადამიანის სიკვდილს, მათ შორის 1.2 მილიონი არამწეველია და იღუპება მეორადი კვამლის (პასიური მოწევის) გავლენის გამო. თამბაქოს ეკონომიკური ზარალის გათვლები აჩვენებს, რომ ქვეყანაში ჯანდაცვის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები (ნაადრევი სიკვდილი და მოწევასთან დაკავშირებული ხარჯები) **824.9** მილიონი ლარია, რაც ქვეყნის წლიური მშპ-ს **2.43%-**ს შეადგენს.

**„გააძლიერე ჩართულობა - შეცვალე ჩვევა!“** - ამ სლოგანით გაერთიანებულ საზოგადოებას შეუძლია შექმნას საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე. პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებლად თითოეული ადამიანის ჩართულობა, ინიციატივა და კანონის აღსრულება მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო სექტორის აქტიური ნაწილისა და მედიის ერთობლივი ქმედებებითა და ძალისხმევით შესაძლებელია მოვახდინოთ პოზიტიური გავლენა თითოეულ ადამიანზე და შევცვალოთ მავნე ჩვევა, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოს და მომავალი თაობების სწორ დამოკიდებულებას თამბაქოს მოხმარების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე.

**ნატო მელიქიძე**

### მართლმადიდებლური დღესასწაულები

## ხარება

**ხარება ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია ქრისტიანულ ეკლესიაში. აღინიშნება 7 აპრილს (25 მარტს ძველი სტილით).**

**ლუკას სახარების (1,28-35) მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი შობდა იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას.**

**ქრისტოლოგიაში ხარების დღესასწაული ითვლება კაცობრიობის ხსნის დასაწყისად, საუკუნეების განმავლობაში დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად.**

**პატარა ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოკრძალებული ქალწული, მარიამი, რომელსაც უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: - გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის.**

**გილოცავთ უფლისგან მომადლებულ დღესასწაულს.**



## სამუშაოები უახლოეს დღეებში განახლდება

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ბორჯომში, კოსტავას სახელობის მოედნისა და პარკის რეაბილიტაცია, კლიმატური პირობების გამო, დროებით შეჩერებულია, სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში განახლდება.**

**პროექტის ფარგლებში, მოედანზე უკვე დაიგო ქვაფენილი, მოეწყო სანიაღვრე არხი და ცხაური, ასევე მოეწყობა ფეხით სავალი ნაწილები და დასასვენებელი სივრცე. კოსტავას სახელობის პარკში ფეხით სავალ ნაწილებზე ბეტონის საფარი დაიგო, ნაწილობრივ**



**განხორციელდა კომუნიკაციების დაქსელვითი სამუშაოები და მოეწყო ლითონის დეკორატიული მოაჯირი.**

**პროექტის ფარგლებში მოეწყობა საბავშო გასართობი სივრცე, ღია კინოთეატრი, ჭადრაკის დაფა, დასასვენებელი ფანჩატური, პერგოლა, კაფე, არსებულ შადრევანს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. დამონტაჟდება დეკორატიული ურნები, სკამები, გარე-განათების ლამპიონები და წყლის ბიუვეტი. სრულად გამწვანდება პარკის ტერიტორია.**

**პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 200 000 ლარით ფინანსდება.**

**სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.**

## გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიამ ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში 8 სავაჭრო წიგნის ფორმის ჯიხურის შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ჯამში ახალი დიზაინის ჯიხურების შესაძენად ადგილობრივ ბიუჯეტში 41 000 ლარია გათვალისწინებული. ორიგინალური დიზაინის ჯიხურები ბორჯომის ცენტრალური პარკისთვის შეიქმნება.

მოვაჭრეები ჯიხუში ვაჭრობის უფლებას აუქციონში მონაწილეობის გზით მოიპოვებენ.

- პარკში გარევაჭრობის დარეგულირების მიზნით გარკვეული ლოკაციები შეირჩა, სადაც ახალი დიზაინის ჯიხურები განთავსდება. გარევაჭრობის დარეგულირება მიზნად ისახავს ბორჯომის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ვიზიტორების ინტერესების გათვალისწინებას, ასევე, ბუნებრივია, ისტორიული პარკის იერსახის შენარჩუნება, პარალელურად, ითვალისწინებს გარე მოვაჭრეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფას, - განაცხადა ქალაქის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

## გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

**ბორჯომში,** ე.წ არდაგანის დასახლებაში, სოფელ ტიმოთესუბანში და ყვიბისში, მდინარის კალაპოტის გაწმენდა-გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილზე მობილიზებულია ტექნიკა, რომლის საშუალებითაც მდინარისგან ჩამოტანილი მიწის მასა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ხეები გააქვთ.

ასევე, მიმდინარეობს ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ხორციელდება.

- მოგეხსენებათ, რომ წელს უხვი ნალექი იყო, სწორედ ამიტომ ტარდება პრევენციული სამუშაოები სა-



ფრთხის თავიდან აცილების მიზნით, რომ წყლის ადიდების შემთხვევაში არ შეიქმნას დამატებითი საფრთხეები, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

მოვლენების კვალდაკვალ

# ასე მზადდებოდა უკრაინის ტრაგედია

**XIX საუკუნიდან,** როდესაც კაპიტალიზმი ჩაისახა და განვითარდა, მსოფლიოში ბატონობს **მამონა - სიმდიდრის და ანგარების ღმერთი.** იქიდან მოყოლებული „ფულის ტომრები“ მართავენ მსოფლიოს. იმპერიალიზმმა დაამკვიდრა მსოფლიო გადანაწილებისათვის მუდმივი ბრძოლა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი რგოლია უკრაინის ტრაგედიაც. მეორე მსოფლიო ომიც, ფაქტიურად, სოციალისტური სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირის განადგურების მიზნით დაიწყო, მაგრამ მამონებს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!“ ომის დამთავრებისთანავე დაიწყო ე.წ. „ცივი ომი“. იგი დაიწყო სტალინის „მებრძოლმა მეგობარმა“ ჩერჩილმა 1946 წელს ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში საპროგრამო სიტყვით გამოსვლის შემდეგ. სულელი და შოვინისტი ნიკიტა ხრუშჩოვისაგან სტალინის „დამხობის“ შემდეგ სოციალისტურ იდეოლოგიას საფუძველი შეერყა. ამერიკის დაზვერვას (ცეერუს) ასაზრდოებდა ალენ დალესის „ბოროტების დოქტრინა“. საბჭოთა დაზვერვა კი (კა-გე-ბე) იდეურად გამოიფიტა. მამონამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაშიც შეაღწია. „ცეერუმ“ გადიბირა: გორბაჩოვი, შევარდნაძე, იაკოვლევი და სხვები.

ამ ორი თვის წინ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ **მაყვალა ბერიანიძის** სენსაციური ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან, რუბრიკით „რაც არასოდეს მითქვამს“. ამ ინტერვიუში, აი, რას ამბობს შევარდნაძე: **„არავინ კითხულობს, რატომ გავხდი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს გახლდათ ძალიან დიდი, გლობალური პროგრამა, რომლის მიზანიც საბჭოთა კავშირის დაშლა იყო“(!).**

კაპიტალისტურმა სამყარომ თავისას მიაღწია: 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაიშალა. ზემოთ დასახელებულ ინტერვიუში შევარდნაძე ამაყობს იმით, რომ: **„ერეკლე მეფემ საქართველოში რუსეთი შემოიყვანა, ხოლო მე ამერიკა შემოვიყვანე!“ და ამატებს: „საქართველო უნდა გამხდარიყო ხიჭვი რუსულ სხეულში“.** გახდა კიდეც (ახლაც ამ როლს ასრულებს). ამისათვის რუსეთმა საქართველო დასაჯა. ჯერ აფხაზეთი წაართვა, შემდეგ - ცხინვალის რეგიონი.

კოლექტიურმა „დასავლეთმა (აშშ და ევროპამ) ახლა რუსეთის დაშლა გადაწყვიტა, რადგან მისი ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება უნდათ. „ხიჭვი“ მარტო საქართველო არ უნდა ყოფილიყო, უკრაინასაც დაადგეს თვალი (ბელორუსს ვერაფერი მოუხერხეს) და აქ თუ „ვარდების რევოლუცია“ მოაწყეს 2003-ში, უკრაინაში - „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოახდინეს 2004 წელს. უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ რუსოფობიით (რუსეთის სიძულვილით) სავსე პირები. რუსოფობია ისედაც მსოფლიოში ინფორმაციული ომის მთავარი მაგისტრალია.

მაყვალა ბერიანიძის სკანდალურ ინტერვიუში რუსეთის დაშლის, აი, რა გეგმაზე ლაპარაკობს 2017 წელს ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსი **ჯონ სკარლეტი:** „მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, ვვარაუდობდით, **სამ ეტაპად** აგვემოქმედებინა რუსეთის დაშლის სტრატეგიული გეგმა. პირველი ნაბიჯი იყო (იქნებოდა უ.ჯ.) სამხრეთ ოსეთის გარშემო სამხედრო და სადაზვერვო ბაზების შექმნა... **მეორე ეტაპი** ითვალისწინებდა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩერქეზეთში ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტების მოსვლას... **მესამე ეტაპის** დაწყებას **უკრაინაში** კერძო სამხედრო კომპანიების და სხვა სამხედრო ბაზების დასტაბილურებას ვვარაუდობდით. დაგეგმილი გვქონდა აშშ-ისა და ბრიტანეთის სადარზვერვო სამსახურების საერთო ძალისხმევით **რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტის გამოწვევა**, რომელსაც მოჰყვებოდა აშშ-ისა და ბრიტანეთის ჩარევა და შავი ზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაზე ნატოს ძალების კონტროლის დამყარება“, მაგრამ - აგრძელებს სკარლეტი, - რკინის მუშტად მოგვხვდა ომი კავკასიაში (ჩეჩნეთის ომი. უ.ჯ.) და რუსეთის მიერ ყირიმის მიერთება (2014 წელს).

ახლა ეს ვიკითხოთ: თუ სოციალისტური სახელმწიფოების „ვარშავის ბლოკი“ დაიშალა, მის საპირწონედ შექმნილი „ნატო“ რატომ არ დაშალეს? იმპერიალისტ-მილიტარისტებს ეს ერთი წუთითაც არ უფიქრიათ! მათ ხომ სამხედრო ძალა სჭირდებოდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საძარცვავად, ასაწიოკებლად და მატერიალური მოგების მისაღებად. ამას მიემატება ამერიკაში 1983 წელს შექმნილი „დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდი (NEP)“, რომელმაც ფერადი რევოლუციებით და ნეოლიბერასტების გამხრწნელი იდეოლოგიით ვითომ „დემოკრატიის დამყარება“ დაიწყეს მთელ მსოფლიოში. ბოლო 50 წლის განმავლობაში ამერიკა და ნატო მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში შეიჭრა, მათგან 35 ქვეყანაში სისხლის მდინარეები ადინეს და 35 მილიონზე(!) მეტი ადამიანი იმსხვერპლეს. **ესეც შენი „დემოკრატიის შუქურა“ ამერიკა, ნატო და ევროკავშირი, რომლისკენაც, სამწუხაროდ, მიისწრაფვის ჩვენი ბედშავი საქართველო!**

დღეს მათგან წაქეზებულ უკრაინაში სისხლის მდინარეები მიედინება.

გასული წლის დეკემბერში რუსეთმა ულტიმატუმი წაუყენა ამერიკას და ნატოს: მოგვეცით გარანტია, რომ აღმოსავლეთისკენ აღარ გაფართოვდებითო! მათ ყურად არ იღეს ეს მოთხოვნა.

უკრაინაში საშინელებები ხდებოდა: რუსებისადმი მართლაც ფაშისტურ გამოვლინებებს ჰქონდა ადგილი: უმიზეზოდ, ოდნავი ეჭვის გამო ხოცავდნენ რუსებს. სისტემატურად ბომბავდნენ ლუგანსკის და დონეცკის რესპუბლიკებს, სადაც 80% რუსები ცხოვრობენ. ამის გამო ბოლო რვა წელში 15 ათასამდე(!) ადამიანი (რუსი ეროვნების) მოკლეს. მართლაც რომ ფაშისტურია ასეთი მო-



წოდებები:

**გენადი ბუტკევიჩი,** მეწარმე: „დონბასთან ლაპარაკი საჭირო არ არის, - უნდა გავანადგუროთ 1,5 მილიონი რუსი“.

**პატრიარქი ფილარეტი:** „დონბასში მცხოვრებთა მკვლელობა კეთილი საქმეა“(!).

**იულია ტიმოშენკო:** „რუსები უნდა დაიხვრიტონ ყველგან“...

უკრაინის ყოფილმა პრემიერმა განაცხადა, რომ ნატო მიმდინარე წლის ზაფხულში უკრაინაში ჯარის განლაგებას გეგმავდა. ზელენსკი კი ბირთვული იარაღის შექმნაზე ლაპარაკობდა...

და რუსეთმაც ველარ „მოითმინა“. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, რუსეთმა დაასწრო ნატოს და ამერიკას...

თუმცა... ნეტავი არ შეჭრილიყო! ორივე პრეზიდენტმა საკუთარი უბრალო ხალხი „საზარბაზნე ხორცად“ გაწირა...

პუტინს ეგონა: ერთ კვირაში მოახრჩობდა უკრაინას, მაგრამ იგი უკრაინელების საოცარ საბრძოლო სულისკვეთებას წააწყდა. ეს საბრძოლო სულისკვეთება რუსის ჯარს არ აღმოაჩნდა. ეს მოულოდნელი იყო პუტინისთვისაც და მისი გარემოცვისთვისაც.

რუსეთი მარცხდება. თუ დონეცკი და ლუგანსკი შეინარჩუნა, ჩემი აზრით, ესეც მიღწევა იქნება.

სამწუხაროდ, რუსეთის დამარცხებით მარცხდება მართლმადიდებლობაც და ახალი ძალით აღზევდება ლგბტ მოძრაობა.

ნაცებს და მათ დამქაშებს უნდათ, რომ რუსეთს საქართველომ მეორე ფრონტი გაუხსნას ამიერკავკასიაში, არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა მოხდეს! ვინც ასე ფიქრობს, ის ჩვენი ქვეყნის მტერია!

**უჩა ჯანგირაშვილი.**

სადღეისო თემაზე

# უნდა მივიღოთ თუ არა რუსები?

**ვერც წარმოვიდგენდი,** რომ ოდესმე ამ სათაურით მომიწევდა საგაზეთო წერილის მომზადება. არადა, ჩვენზე ტოლერანტული, ჩვენზე პატრიოტული, ჩვენზე შემწყნარებელი და სტუმართმოყვარე ერი რამდენიმე თუ მეგულება ამ სამყაროში. ამ ბოლო დროს იმაზეც მიგვითითებენ, რომ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. დარწმუნებულები ხართ, რომ ასეთ სტუმარს გულისხმობდა დიდი ვაჟა, როცა წერდა: **„თუნდ ზღვა ემართოს სისხლისო“?** არა, ჩემო ბატონო... ჯოყოლას თავიდანვე რომ სცოდნოდა, რომ ზვიადაური მოსისხლე მტერი იყო, არამგონია, სახლში შეეშვა, გვავიწყდება, რომ მან თავიდან ვერ იცნო „სტუმარი“ და როგორც უბრალო „მოყვასი“, ისე მიიღო. რატომ არ გახსენდებათ დიდი კონსტანტინე გამსახურდია და მისი გმირის სიტყვები? **„ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავისა, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ მოსყიდული, ნახევარი - სარკინოზებს. როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.**

რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო იერიშის მიტანამ და ომმა სრულიად თავდაყირა დააყენა მსოფლიო, ხოლო საქართველოს ის ჭრილობები განუახლა, რომელსაც რუსეთი წლების მანძილზე აყენებს ქვეყანას და ხალხს. ვერ დავიწყებული ომი და რუსეთის მხრიდან მრავალწლიანი მცოცავი ოკუპაცია გახდა იმის მიზეზი, რომ მოქალაქეები პირდაპირ და მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ პროტესტს, საქართველოში რუსი ხალხის მასიური შემოდინების შესახებ. რაც ოფიციალურად გამოცხადდა, საუბარია 25 ათას ადამიანზე, არაოფიციალურად, უფრო მეტიც იქნება. იცით, რატომ? ბათუმში წარმოუდგენლად ბევრი ბინაა რუსებზე გაყიდული, ასევე ნებისმიერ ტურისტულ ქალაქში. მკითხველი მეტყვის, განა რა საფრთხის ქვეშა ვართ და რატომ არის ასეთი აქცენტი მათ მიღებაზეო? ჩვენ არ ვიცით, ხვალ, ზეგ როგორ შემოგვიბრუნდება ეს „კარებლია“ პოლიტიკა: არავინ ვიცით, რა მიზნით მოდიან და ვინ არის მათგან დივერსანტი. არც ის გაუჭირდება მტერს საკუთარი მოქალაქეების დაცვის სახ-



ელით, ჯარები კიდევ უფრო მკვეთრად ჩამოგვიმწკრივოს. ნუთუ, ასე ძნელია წინ გავიხედოთ და სავიზო რეჟიმი მაინც დავუწესოთ. ან, საერთოდ რატომ ვუწოდებთ რუსეთიდან მიღებულ ნაკადს ლტოლვილებს? მათ ქვეყანაში დარჩნენ და გააპროტესტონ თუ რამე არ მოწონთ. რატომ იგრძნეს დისკომფორტი? რატომ გადაწყვიტეს მაინცდამაინც საქართველოში ჩამოსვლა და აქ ბიზნესების აწყობა? ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა რუსეთს ყავს ამერიკაში - სამ მილიონამდე, შემდეგ გერმანიაში - მილიონნახევარი და ისრაელში ერთ მილიონამდე, ასევე მრავლად არიან კანადაში, ავსტრალიაში, მექსიკაში, არგენტინაში, დიდ ბრიტანეთში, ყაზახეთში, ხოლო ესტონეთსა და ლატვიაში რუსების რიცხვი მთლიანი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. არცერთ მათგანს ამ ბოლო დროს არ გაუპროტესტებია უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა. რატომ ნეტავ? ძალიან ბევრი მიზეზი გვაქვს, არ ვენდოთ უპრაგონოდ, თუნდაც ტურისტებად შემოსულებს. ამას წინათ ბორჯომში, ერთ-ერთ მაღაზიაში, ზუსტად ამაზე მსჯელობდნენ - უნდა მივაქირავოთ თუ არა რუს ტურისტებს სახლიო. რატომაც არაო. ოღონდ ფულით გაგვიძეძგონ ჯიბე და არ დავეძებთ ქვეყნის საფრთხესა და ინტერესს - ესაა სიმართლე. ვინც მიცნობთ, ალბათ ისიც იცით, რომ არც კაცთმოძულე ვარ, არც რუსოფობი, არც რასისტი, მაგრამ არ ვარ მომხრე განურჩევლად ყველა შემოვუშვათ და აქ მოვუწყოთ „ტკბილი საცხოვრისი“ იმ ხალხს, ვისი წყალობითაც საკუთარ ქვეყანაში დევნილად ვითვლები! აგერ, გრიგოლ რობაქიძის როდინდელ დაწერილ სიტყვებს გიტოვებთ და იმედია, დავფიქრდებით - საით მივექანებით, მართლა და მართლა?!. - ზოგმა დამპყრობელმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი - რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი, არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობასაც ჯერა, გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღმურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი - მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი“.

**მონიკა ქანთურია**

რედაქტორის სვეტი

# დიპლომატიას არ აქვს ალტერნატივა

30 წელზე მეტია, ერთი და იმავე წრეზე ვტრიალებთ. ხელისუფლებაში ერთიდაიმავე სახეებს ვხედავთ. სხვის „დაკრულზე ვცეკვავთ და ვმღერით“, ვერ ველირსეთ ნორმალურ, პატრიოტულ, ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას. ჩვენში ოპოზიციას არანაირი კომპრომისული წინადადებების ჩამოყალიბების უნარი არ გააჩნია, მხოლოდ ხელისუფლების ძალით შეცვლით და აქციებით იმუქრება. შედეგიც სახეზეა. სამწუხაროდ, რადიკალური ოპოზიცია ვერ გრძნობს იმ საშიშროებას, რაც უკანასკნელ ხანს ჩამოყალიბდა მსოფლიოში. თუნდაც რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტი ავიღოთ. მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა სანქციები დაუწესა რუსეთს, რათა შეეწყვიტა ომი უკრაინაში, ამ სანქციებს საქართველოს ხელისუფლება არ შეუერთდა და ოპოზიციამ „ვენები გადაიჭრა“ ხელისფლების ლანძღვა-გინებით. ან რა აქვს საქართველოს ისეთი, რითაც პრობლემის შევუქმნით რუსეთს. ყველა სტრატეგიული ობიექტი: ელექტროსადგურები, წიაღისეული სიმდიდრეები, მსხვილი საწარმოები, თვით „ბორჯომის“ მინწყლის ჩამომსხმელი ქარხანა და სხვებიც ყოფილმა ხელისუფლებამ (რომლის ნარჩენებიც დღეს ოპოზიციაში არიან და ყელყელაობენ), რუსებს მიყიდა, დღეს ეს ტვინნაღრძობი ადამიანები ხელისუფლებას მოუწოდებენ უკრაინას მხარი დაუჭიროს და მეორე ფრონტი რუსებს საქართველომ გაუხსნას. ასეთი პოლიტიკურად ჩლუნგი და უმწიფარი ოპოზიცია ძნელად მოიძებნება მსოფლიოში.

სწორედ ასეთ საქციელს ეწოდება „ყვავს რა ჰქონდა, ბუზს გაჰქონდაო“, რა გააჩნია დღევანდელ საქართველოს, რუსეთს რომ ბოიკოტი და სანქციები დაუწესოს. ერთ კვირაში სახელმწიფო ჩამოიშლება, სწორედ ეს უნდა ოპოზიციას. ხორბლის, ენერგორესურსების 80 პროცენტი, კვების პროდუქტების დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოგვაქვს, ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და მტრის შეიარაღებული ჯარი თბილისიდან 40 კილომეტრში დგას და ოპოზიციის ლიდერები „მსოფლიო დონის“ გველეშაპის წინააღმდეგ საომრად მოგვიწოდებენ. უნდათ საქართველო ომის პოლიგონად გადაქციონ. რომ იტყვან, აბსურდის თეატრში გვიწევს ყოველდღიური ცხოვრება.

საქართველოზე ბევრად მდიდარი ქვეყნები ვერ ბედავენ რუსეთის წინააღმდეგ დაპირისპირებას, უკრაინას ფული მისცეს და იმ ფულით თავიანთი იარაღი შეაძენინეს. ევროპელმა და ამერიკელმა ლიბერალებმა უკრაინა შეაცდინეს და გამოუსწორებელ ომში ჩააბეს. დაინგრა და მიწასთან გასწორდა ულამაზესი ქალაქები ხარკოვი, კიევი, მარიუპოლი, ზაპოროჟიე და სხვებიც. მათ აღადგინას 30-50 წელი არ ეყოფა.

უკრაინაში მიმდინარე ომმა ოთხი ქართველი მოხალისე ვაჟკაცი შეიწირა. ღმერთმა დაიფაროს დანარჩენი ქართველები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანი მებრძოლებითაა წარმოდგენილი ომის ქარცეცხლში.

საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე წერდა: - პრინციპში ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რა სანქციები შეგვიძლია გამოვუცხადოთ რუსეთს, ატამი არ შევიტანოთ, გორის ვაშლი თუ მარნეულის მწვანილი, აბა, „ბორჯომი“ ისედაც მაგათია და... ნუ ბოლოზოლო „თელიკოს“ არ გადავუხადოთ თანხა და თუ ჩაგვიჭრან „მინტიორი“ გავლახოთ.

ქართველებმა საკუთარ თავზე გამოვცადეთ რუსეთის აგრესია ჯერ აფხაზეთის ომში და მერე 2008 წელს ცხინვალში შესვლისას. კარგად ვიცით რუსეთის ზნე და მორალი. გულწრფელად თანავუგრძნობთ უკრაინელ ხალხს დიდ ტრაგედიას, რაშიც თვით უკრაინის ხელისუფლებასაც „ლომის წილი“ მიუძღვის. სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ არაკორექტული ნაბიჯი გადადგა, რითაც შეურაცხყო ჩვენს შორის არსებული საუკუნოვანი მეგობრობა, როცა არც რუსეთის და ბელორუსის ელჩები არ გამოუწვევია. მიუხედავად ამისა, ქართველებმა მაქსიმალური ზრუნვა გამოიჩინეს უკრაინელი ხალხისადმი ათეულობით ტონა ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა და გაიგზავნა განსაცდელში მყოფი ადამიანების დასახმარებლად. ასობით უკრაინელი დევნილი მიიღო საქართველომ, 200-ზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის სკოლა გახსნა. მზრუნველობას არ აკლებს უსახლკაროდ დარჩენილებს.

საამაყოა უკრაინელთა თავგანწირული ბრძოლა, რითაც პუტინს ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს, რომ უკრაინაში იოლი გასეირნება არ ექნებოდა.

მწამს, უკრაინელი ხალხი რუსეთთან ომს ღირსეულად დაასრულებს.

**ვალერიან ლომიძე**

### საინტერესო პროფესიის ადამიანები

## მთავარი მზარეულის პოზიციიდან დამწყებ ფერმერობამდე



**ზვიად მელიქიძე ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდან ადევნებდა თვალყურს როგორ ფუსფუსებდა სამზარეულოში მისი ბებია, მესხი ქალი, ლიზა მაღრაძე. ჩვენი კუთხის სამზარეულოს ყველა მნიშვნელოვანი ინგრედიენტი თუ ნიუანსი სწორედ მისგან შეისწავლა. მისი მამაც, ბატონი გურამი რამდენიმე წელი კულინარიის სფეროში იყო დასაქმებული. საკმაოდ პატარა იყო, როდესაც სანატორიუმ „ლიკანის" მეორე კორპუსში მიიყვანეს მზარეულ რევაზ ბალახაძესთან, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, – მიყვება ზვიადი.**

**გავიდა** წლები და პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტი გახდა. მისი ცხოვრების მთავარი გზამკვლევი ბიძა, პროფესორი სერგო მელიქიძე გახლდათ. სტუდენტობის წლებში, ცოტა ხნით, ახალციხეში ახლადგახსნილ საქართველოს ბანკში მოუწია მუშაობამ. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი და ბორჯომის რაიონის კოორდინატორი გახდა. არასამთავრობო ორგანიზაციაში ბატონი ზურაბ მაღრაძის დახმარებით მოხვდა. თუმცა, ბავშვობის დროინდელმა მესხური და საერთოდ ქართული სამზარეულოს მიმართ სიყვარულმა 2004 წელს სტადიონზე მდებარე რესტორანში მიიყვანა. რესტორნის მეპატრონეების ბატონი **ჯუმბერ და ქალბატონი ეთერ ბერიძეების** დღესაც მადლიერია, რომლებმაც უდიდესი გვერდში დგომა აღმოუჩინეს. მისთვის მზარეულები ლოვა ოგანესიანი და გურამ გოგოლაძე აღმოჩნდნენ ის ადამიანები, ვინც გზა გაუკვლიეს კულინარიის საინტერესო სამყაროში. გურამთან დღემდე მეგობრობს. სტადიონზე მდებარე რესტორანში დაახლოებით 9 წელი იმუშავა. უდიდესი მადლიერების გრძნობით იხსენებს ქალბატონებს, ეთერ შენგელიას, მანანა კაჭკაჭიშვილსა და ნანა ჟორჟოლიანს. სწორედ ქალბატონი მანანა გახლდათ ზვიადის მარჯვენა ხელი სასტუმრო „როქსის ბორჯომში", სადაც მისი დაარსების დღიდან 2021 წლის ბოლომდე მუშაობდა. ზვიადმა ქალბატონ მანანასთან და ქალბატონ ნანასთან ერთობლივი ძალებით შეძლო და სერვირებამდე დაამუშავეს ქართული კერძები. ზვიადი სიამოვნებით იხსენებს პირველ შეხვედრას საფრანგეთიდან მოწვეულ შეფ მზარეულთან, Franck Vallat-თან, რომელმაც უამრავი მსურველიდან ის შეარჩია და ქართული სამზარეულოს მთავარი მზარეულობაც სწორედ მას ჩააბარა. წლების მანძილზე მის მიერ შედგენილი მენიუთი მუშაობდა სასტუმროს რესტორანი.

რესტორანში მუშაობის პარალელურად ახალი იდეა დაებადა. იდეის მთავარი ავტორი ზვიადის ძმა, მიხეილი გახლდათ, რომელიც დღემდე გულშემატკივრობს და გვერდით უდგას. დაიწყეს მწყერის მოშენება. მშობლები მაქსიმალურად გვერდში დაუდგნენ, რესტორანში მუშაობის პარალელურად არც ისე მარტივი იყო დამატებითი საქმის გაძღოლა. თუმცა, უკვე რამდენიმე თვეა მთლიანად მწყერის მოშენების ბიზნესზე გადაერთო. ამ ეტაპზე 100 ფრთა მწყერი და 30-მდე ქათამი ჰყავს. საკუთარი სახლის ეზოში ტყის პირა ფერდობზე აქვს მოწყობილი საქათმეები. სამუშაო დღე დილით ადრიანად იწყება და თითქმის დაღამებისას მთავრდება. საკვებად ძირითადად წმინდად დაფქულ სიმინდს, ხორბალსა და ქერს იყენებს. არსებული მარაგი 2 კვირის მანძილზე ჰყოფნით, ხოლო ორი კვირის შემდეგ ხელახლაა საჭირო საკვები მარაგის შევსება. საოჯახო ტიპის ფერმაში წიწილების გამოჩეკა ინკუბატორში ხდება. ამ ეტაპზე პროდუქციის რეალიზებას სავაჭრო ობიექტებში არ ახდენენ. ჰყავთ ერთგული მომხმარებლები, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ მათი ფერმის კვერცხს. აქცენტი ძირითადად არაა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზეა გადატანილი. წიწილის გამოჩეკიდან საშუალოდ ორ თვეში იწყებს მწყერი კვერცხის დებას. თითო კვერცხის ღირებულება 30 თეთრს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკვების ფასმა საგრძნობლად მოიმატა, ცდილობს, ერთგულ მომხმარებელს ხელმისაწვდომ ფასად შესთავაზოს პროდუქტი.



აქვთ მოწყობილი მცირედი საოჯახო ტიპის სასტუმრო ლუქს ტიპის ნომრით, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს შეუძლია დამსვენებლის მიღება. ზვიადი ამბობს, რომ მისი სასტუმროში მუშაობის პერიოდში სხვადასხვა ქალაქებიდან თუ ქვეყნებიდან რამდენჯერ სპეციალურად ჩამოდიოდნენ მის მიერ მომზადებული კერძების დასაგემოვნებლად. დამსვენებლებს უფასოდაც თავაზობენ სადილს, სტუმრებისათვის მეტად სასიამოვნოა მათივე ფერმაში გაზდილი მწყერის დაგემოვნება. ეზოში საფერავის ჯიშის ყურძენიც აქვთ. სამომავლოდ მეღვინეობის კუთხითაც აპირებს დამატებითი სერვისი შესთავაზოს მათთან მოსულ სტუმრებს. თუკი კიდევ შეძლებენ გაფართოებას, სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებშიც მოახდენენ კვერცხის რეალიზებას. სამომავლოდ ბევრი გეგმები აქვს, თუმცა ის ყველაფერი რაც ამ ეტაპზე გააჩნიათ და ჯერ მხოლოდ საოჯახო ფერმის სტანდარტებში ეტევიან, ისიც გარკვეული სახის ხარჯებთანაა დაკავშირებული და მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**P.S. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისმის ახალგაზრდების მისამართით საყვედურები, რომ ისინი უსაქმურობენ და არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, ამას ზვიადზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. ის მაქსიმალურად ცდილობს, ყველა რესურსი თუ ფინანსური შესაძლებლობა ჩადოს საყვარელ საქმეში და იმედს ვიტოვებთ, რომ საკუთარი შრომისმოყვარეობით კიდევ დიდ წარმატებას მიაღწევს.**

მოამზადა **ნატალია მესხელმა**

## ფულად გზავნილებზე დამოკიდებული მოქალაქეები

**ათასობით** ქართველი საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულზეა დამოკიდებული. მათ შორისაა ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ კიდევ განათლების მიღებას აგრძელებენ უმაღლეს სასწავლებლებში. სამწუხარო, რეალობაა, მაგრამ 90-იანი წლების შემდეგ საქართველო ქართველებისგან თანდათანობით, ყოველდღიურად ცარიელდება, მიდიან ქალები, მამაკაცები და დღეს უკვე ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან ყოველგვარი რისკის ფასად მოხვდნენ ამერიკაში.

**რატომ ირჩევენ სხვა ქვეყანას?** რა მიზეზებს ასახელებენ ჩვენი მოქალაქეები და ბორჯომელები სტატიის ბოლოს შეიტყობთ.

მიზეზად უმრავლესობა უმუშევრობასა და უსახსრობას ასახელებს. ოჯახში გაუსაძლის სოციალურ მდგომარეობას, დაბალ ანაზღაურებას და პროდუქტების სიძვირეს ასახელებენ. თუმცა ბოლო პერიოდია, ფასების ზრდაზე საზღვარგარეთ მყოფი ქართველებიც საუბრობენ.

**21 წლის ნათია** გვიყვება, რომ მშობლები წლებია ემიგრაციაში ჰყავს. 10 წელია ის და მისი ძმა ბებიასთან და ბაბუსთან ერთად ცხოვრობენ.

– თავიდან განსაკუთრებით ძალიან გაგვიძნელდა მშობლების გარეშე ყოფნა. დღემდე ძალიან გვენატრებიან. მათთან შესახვედრად 3 წლის წინ წავედით იტალიაში. ემოციებით სავსე იყო როგორც შეხვედრა, ასევე განშორება და კიდევ უფრო რთული უკან დაბრუნება. უნივერსიტეტის სწავლის პარალელურად ვმუშაობდი, თუმცა რადგან ვერ შევძელი ერთდროულად სწავლა და მუშაობა, გადავწყვიტე ჯერ უნივერსიტეტი დამემთავრებინა. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მეუბნებოდნენ, არ იყო საჭირო ჩემი მუშაობა, რადგან ისინი უზრუნველყოფდნენ ჩემს ფინანსურ სტაბილურობას, დამოუკიდებლად მსურდა მემუშავა და თავი მერჩინა.



იმ მონატრების წლებს, დღეებსა და წუთებს ვერავითარი გზავნილი ცვლის. უბრალოდ ეჩვევი შენს მდგომარეობას. ჯერ ბებია და ბაბუა ზრუნავდნენ ჩვენზე ახლა უკვე ჩვენ ვზრუნავთ მათზე. მშობლებს არ აქვთ პასუხი, თუ როდის დაბრუნდებიან?!

**29 წლის გიორგიმ** გვთხოვა, ვინაობა არ გაგვემხილა. 4 წელია ემიგრაციაში იმყოფება პოლონეთში და დღემდე მშობლებს ყოველთვიურად იქიდან ეხმარება, აგზავნის თანხას, რადგან მათ აქ შეძლონ არსებობა. როგორც გიორგი აღნიშნავს, მშობლები არ არიან პენსიონერები და არავითარი შემოსავალი არ აქვთ. საქართველოში ყოფნისას სამსახური ქონდა, მშენებლობებზე მუშაობდა, მაგრამ იმდენად მცირე იყო მისი შემოსავალი შრომასთან შედარებით, რომ მიიღო გადაწყვეტილება, წასულიყო საზღვარგარეთ. თავდაპირველად, პროდუქტებზე არსებულმა ფასებმა გამოიწვია მისი გაოცება, იმდენად იაფად შეეძლო ეყიდა ხორცი და ზღვის პროდუქტები.

რესპონდენტების უმრავლესობამ ბორჯომიდან, რომლებსაც მასალაზე მუშაობისას ვთხოვე ჩვენთან ესაუბრათ ემიგრანტულ ცხოვრებაზე, ინტერვიუსგან თავი შეიკავეს. პირად საუბრებში კი ისინი ყოველთვის აღნიშნავენ, რომ დიდი შრომის ფასად უწევთ მიღებული ანაზღაურების გამომუშავება, რადგან დოლარსა და ევროში იღებენ თანხას, ამ დროს საქრთველოში გამოგზავნილი ფულადი გზავნილი ლარში სამმაგდება და გარკვეული შეღავათია მათი ოჯახის წევრებისთვის. ქალბატონმა ლალიმ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდია საქართველოში ბინების მესაკუთრეები ქირას დოლარში ითხოვენ, ამიტომ კიდევ უფრო გაძნელდა ჩვენთვისაც სტაბილურობის განცდა. პროდუქტებიც იმდენადაა გაძვირებული, ჩვენი გამომუშავებული თანხა არასაკმარისია.

ჩემი სანაცნობოდან, ოჯახიდან რამდენიმე ადამიანი მაინცაა საზღვარგარეთ წასული. შვილებისთვის კარგი განათლების მისაღებად, ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უკეთესი მომავლის შესაქმნელად წავიდნენ სამშობლოდან. დაბრუნების იმედად მეთქ უნდა დამეწერა, მაგრამ რაღაც ძალამ შემაჩერა. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა დაბრუნებაზე ნაკლებად საუბრობს. მხოლოდ იციან, რომ სამშობლოს მონატრებულები შვებულებისას ესტუმრებიან.

**თამარი 7** წელია მეუღლესთან და შვილთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს, არა ერთი ოჯახია მის მსგავსად „გრინ ქარდის" გათამაშებაში გამარჯვებული. დაბრუნებაზე არ საუბრობს, წელიწადში ერთხელ ჩამოდის და ერთ თვეს ატარებს საქართველოში. უმრავლესობა, იმ ერთ თვესა თუ კვირასაც აღარ ჩამოდის.

ბევრს აღარ გავაგრძელებ, რადგან ამ რესპონდენტებშიც შეგიძლიათ ამოიცნოთ და დაინახოთ თქვენი ახლობლები, მეგობრები, მეზობლები და უბრალოდ ნაცნობები, რომლებიც ძალიან მრავლადაა ჩვენს ირგვლივ.

გაიჟღერა ინფორმაციამ ფულადი გზავნილების შეზღუდვებთან დაკავშირებით. საზოგადოება აღაშფოთა აღნიშნულმა რეალურმა თუ ყალბმა ინფორმაციამ, ამას კიდევ დრო გვიჩვენებს. რა გვეშველება ახლაო? საჭიროა გავიაზროთ, რომ სხვის გზავნილსა და თანხაზე დამოკიდებულება არც თუ კარგი ჩვევაა. უნდა იყოთ საკუთარი თავის იმედად და არა სხვისი შრომით გამომუშავებული თანხის შემყურე და მხოლოდ მაშინ გეშველებათ.

**P.S. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო მეტად დროული გადაწყვეტილება და დაიწყო დასაქმების პროგრამის პრაქტიკულად განხორციელება, ჩაებით ამ პროგრამაში. უსაქმურობას ისევ შრომა ჯობია, ხომ გაგიგიათ ბრძნული ნათქვამი „ოფლითა შენითა, მოიპოვე ლუკმაო". ჰოდა, ვიმუშაოთ, ასე ოჯახსაც გავაძლიერებთ და ქვეყანასაც.**

**იზა იანვარაშვილი**

## პანიკამ სერიოზული ზარალი მოგვაყენა

**მეტად უცნაურ,** არაორდინალურ დროში გვიწევს ცხოვრება. თავისუფლებისათვის და დემოკრატიული ფასეულობებისათვის ბრძოლამ თავბრუ დაახვია ადამიანებს. ადრეც ვწერდი და ახლაც მინდა გავიმეორო თავისუფლება – თავგასულობაში, ხოლო დემოკრატია – დემაგოგიაში გადაიზარდა, რაც ჩვენს ბედკრულ ქვეყანას სავალალო მდგომარეობაში აგდებს. დღეს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას საგარეო პრობლემებზე მეტად საშინაო, ძირგამომთხრელი ვითარება უშლის ხელს.

ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს პრობლემები რადიკალურ ოპოზიციასთან, მოსყიდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მშვიდობიანად, არგუმენტირებული პასუხებით დაარეგულიროს. როგორც ჩანს მშვიდობიანი დიალოგი ამ ადამიანებთან მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია.

ეს მწარე შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ჩვენს პატივცემულ მკითხველებს შევახსენო ამ რამდენიმე კვირის წინათ ხალხში გავრცელებულ პანიკის გამო გამოწვეული სავალალო შედეგი.

საქართველოს მტრების და უღირს ადამიანთა მიერ გავრცელებული პანიკის დედააზრი მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული. რადგან რუსეთ – უკრაინის ომი მძვინვარებს, შესაძლოა ამ ომმა საქართველომდე ჩამოაღწიოს და აქედანვე დავიმარაგოთ ზეთი, შაქარი, მარილი, ბურღულეული... ტუალეტის ქაღალდი და სხვა ყოველდღიური მოთხოვნადი პროდუქტებიო და




დიდი და პატარა შეესია სუპერ-მარკეტებს. იყო ტაციაობა და ელვის სისწრაფით დაიცალა თაროები და დახლები.

სამწუხაროდ, ხელისუფლება გვიან მოეგო გონს და ტელევიზიით მრავალჯერ გაჟღერდა ინფორმაცია, ნუ აყვებით პანიკას, საგანგაშო არაფერია, სახელმწიფოს სურსათის საკმარისი მარაგი აქვს და ისიც დაამატეს, სურსეთის სიმცირეს მოსახლეობა ვერ იგრძნობს და დამშვიდდითო. მართლაც მარკეტებში დახლები და თაროები სწრაფად შეივსო, სამაგიეროდ სავაჭრო ობიექტების მესვეურებმა აჟიოტაჟით ხელი კარგად მოითბეს. ყველა სახის სურსათი მკვეთრად გაძვირდა. მაგრამ ფასს ვილა დაეძებდა, ყველაფერს ბლომად ყიდულობდნენ და აზრად არავის მოსვლია იმ პროდუქტს როდემდე ჰქონდა სარგებლობის ვადა.

ბუნებრივად გაჩნდა რიტორიკული კითხვა, აკი უმუშევრები ვართ, მშივრები ვიხოცებით, სოციალურად დაუცველები არ ვმუშაობთ, საიდან გაჩნდა გაძვირებული სურსათის შესაძენი თანხა?! როგორც გვითხრეს, ისეთმა ადამიანებმა შეიძინეს ტომრებით პროდუქტები, რომლებიც ადრე კილოგრამობით ყიდულობდნენ. ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ თუ დაიანგარიშეს, როდემდე ეყოფათ ასე ბითუმად ნაყიდი სურსათი...

მარკეტების დახლები და თაროები მომენტალურად შეივსო და... ჰოი, საოცრებავ, თითქმის ყველა დასახელების სურსათი მკვეთრად გაძვირდა. სამწუხაროდ, არავინ დაინტერესებულა, რატომ გაძვირდა შაქარი, ფქვილი, ზეთი, მარილი და ბურღულეული? არავის შეუმოწმებია ამ სურსათის მიღების დროს არსებული ფასი და პანიკის დღეებში მომენტალურად რატომ გაძვირდა უსაშველოდ.

ეხ, როგორც ჩანს ჯერ კიდევ ბევრი დრო გვინდა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგი რომ დამყარდეს.

**ვალერიან ლომიძე**

## კომპანია „NETBOX" ინოვაციური პროდუქტით

**2022 წლის** 26 მარტს, **„თბილისი მოლის"** ცენტრალურ ატრიუმში, „junior eCivment საქართველო", აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის, **„სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში"** ფარგლებში და **„თიბისი"** ბანკთან თანამშრომლობით გამართულ **„სამეწარმეო განათლების ფესტივალში"** სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შექმნილმა კომპანია - "NETBOX"-მა მიიღო მონაწილეობა. კომპანია „NETBOX'-ის გუნდის წევრები X კლასის მოსწავლეები არიან **(საბა ჩხეიძე** - გენერალური მენეჯერი, **მარიამ გაგლოშვილი** - პიარ მენეჯერი, **ლიზი ნატბელაძე** - ადმინისტრაციული მენეჯერი, **გიორგი გოგოლაძე** - ფინანსური მენეჯერი, **ზუკა გოგოლაძე** - მარკეტინგის მენეჯერი).

ბორჯომის №3 საჯარო სკოლა „სამეწარმეო განათლების ფესტივალში" მონაწილეობას უკვე მეშვიდე წელია იღებს. კომპანია „TBOX"-ის მიერ წარმოდგენილი პროდუქტი კი გახლავთ პორტატული კომპიუტერი აბსტრაქტული დიზაინით. აღნიშნულ პროექტს ბორჯომის მუნიციპალიტეტი ორი წელია აფინანსებს.



**ნინო კევლიშვილი მეწარმეობის საფუძვლების პედაგოგი:** – რომ არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა და დაფინანსება, ჩვენი კომპანია ვერ მოხვდებოდა აღნიშნულ ფესტივალზე. მადლობას ვუხდით მათ ამ შესაძლებლობისთვის, ბავშვებს აძლევენ საოცრად დიდ მოტივაციას. ჩვენ ბორჯომშიც ვაპირებთ ჩვენი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას მაისის დასაწყისში, რათა ჩვენმა რაიონმაც გაიცნოს ეს არაჩვეულებრივი გუნდი. ვამაყობ, რომ ბორჯომს ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდობა ჰყავს.

ბორჯომის №3 საჯარო სკოლის გარდა აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მეწარმეობის სწავლების პროცესში შექმნილმა ოცდაათმა მოსწავლეთა კომპანიამ მიიღო, რომლებმაც სასწავლო პროცესის განმავლობაში შექმნეს კომპანია და აწარმოებენ სხვადასხვა ინოვაციურ და კრეატიულ პროდუქტს.

**ნატო მელიქიძე**

# ვულოცავთ!



**ქეთი კევლიშვილს**, განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადამიანს, ჩვენი შვილების მეორე დედას, ვულოცავთ დაბადების დღეს. მუდამ სიხარულით უბრწყინავდეს თვალები და სიკეთე და სიყვარული იყოს მისი ცხოვრების მეგზური. უფალმა დალოცოს, გააძლიეროს და გაახაროს.

გვიყვარს ქრისტესმიერი სიყვარულით. ვაფასებთ და ყოველივე საუკეთესო გვემეტება მისთვის.

პატივისცემით **№3 სკოლის IIIბ კლასის მშობლები.**

# სპექტაკლის ჩვენება ბორჯომში



**ბორჯომის** კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მესხეთის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სპექტაკლის ჩვენება გამართა.

წარმოდგენილი იყო რაფაელ ერისთავის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ორ მოქმედებიანი კომედია **„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.**

სპექტაკლი მოგვითხრობს სერგოს და მაშიკოს სიყვარულზე. მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი და დაქორწინება სურთ, მაგრამ სერგოს ვალის გამო მაშიკოს დედა, ქალბატონი ელისაბედი, ახალგაზრდებს არ აძლევს ქორწინების უფლებას. ბატონი ოსეფი, სერგოს მამა, არ ისტუმრებს სერგოს ვალს. ის ძალიან ძუნწია. მას სურს კიდეც, რომ ეს ვალი მაშიკოს დედამ გადაიხადოს. საბრალო სერგოს კი წლები არ ეყოფა მის გასასტუმრებლად. მაშიკოს ძმა, აპოლონი, რომელსაც ძალიან უყვარს ხუმრობა, ატყუებს ოსეფას, რომ მაშიკო მოკვდა. ელისაბედს კი ეუბნება, რომ სერგო გარდაიცვალა. ამის შემდეგ ბატონი ოსეფი და ქალბატონი ელისაბედი შავებში დადიან და ერთმანეთს უთანაგრძნობენ. სერგოს ტკივილის შესამსუბუქებლად, ოსეფი თავის შვილს ვალის გადასახდელად ფულს აძლევს. მალე აპოლონის ტყუილს ფარდა ეხდება და მაშიკო და სერგო ქორწინდებიან.

სპექტაკლის ჩვენებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპექტაკლის ჩვენება, კორონავირუსის პრევენციის მიზნით დაწესებული რეგულაციების სრული დაცვით გაიმართა.

### რუბრიკა: „დიდებული“ საბჭოთა ეპოქისაგან ნაწამები მწერლები

# წაიკითხე „გმირთა ვარამი“



**ახალგაზრდები** წიგნს თუ კითხულობენ, ნაკლებად ირჩევენ ქართველ ავტორებს. ეს დასანანია, რადგან მსოფლიო მასშტაბის და დღემდე დაუფასებელ მწერალს ლევან გოთუას არ იცნობდე, მგონი დანაშაულიც არის. რამ გამახსენა? 10 მარტს იყო მისი დაბადების დღე და თან უამრავჯერ ნაწამები „დიდებული“ საბჭოთა ეპოქისაგან. როდესაც ლევან გოთუას წიგნები იწერებოდა, არათუ დაფასება, ცოცხლად გადარჩენაც დიდი წყალობა იყო. სამჯერ დაპატიმრებულსა და გადასახლებულს თავადაც უკვირდა, ამ ყველაფერს როგორ გაუძლეიო. ბოლომდე შეინარჩუნა სიმხნევე, ფიზიკური ძალა. პირველად რომ გადაასახლეს, 19 წლის იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი, კოჯორში XI არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. 1924 წელს, როდესაც ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა, ლევანი დააპატიმრეს. ამავე დროს დააკავეს მამამისი, პართენ გოთუაც. მამა-შვილი ცალ-ცალკე აიყვანეს, ამიტომ ერთმანეთის პატიმრობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მაშინ ახალგაზრდებს უფრო ვერ იტანდნენ და გადაწყვიტეს, ლევანი დაეხვრიტათ. გამოიძახეს გოთუა. დარაჯმა პართენი მიუყვანა. უთქვამთ, ეს არა, ახალგაზრდა გვინდაო. პართენი მიხვდა, ლევანზე იყო საუბარი და ფეხებში ჩაუვარდა, ბარემ აგერ ვარ, მე მომკალითო. საბოლოოდ, აღარც პართენი დახვრიტეს. თუ იცით მისი წიგნი „უგზო ქარავანი“, მთავარი გმირია იქ გიორგი სააკაძე. მაშინ ამ მოთხრობის დაწერას გამბედაობა სჭირდებოდა. სწორედ იმ პერიოდში სტალინმა გიორგი სააკაძეზე ფილმის გადაღება შეუკვეთა, სცენარიც თავად აარჩია და სააკაძე, რომელიც რეალურად ავკარგიანი და გაორებული პიროვნება იყო, გმირად გამოიყვანა. ამ დროს კი ლევან გოთუა წერს ნაწარმოებს, სადაც გიორგი სააკაძის რეალური სახეა აღწერილი. პირველი დაპატიმრების შემდეგ ლევანი სოლოვეცკის კუნძულებზე გადაასახლეს, შვედეთთან ახლოს. იქ ყინვა მინუს 30 გრადუსზე დაბლაც კი ჩამოდის. ლევანი ისე წაიყვანეს, ოჯახმა თბილი ტანსაცმლის მიწოდებაც ვერ მოასწრო. კუნძულზე 6 წელი დარჩა. სახლში დაბრუნების ნება არც სასჯელის მოხდის შემდეგ მისცეს, ამის გამო რამდენიმე წლით ვლადიკავკაზში მოუწია ცხოვრებამ. საქართველოში დაბრუნებულმა სცადა, საბჭოთა კავშირიდან გაეღწია. თურქეთში გადასვლას აპირებდა, საზღვართან დააპატიმრეს. მწერალი ახლა უკვე მესამედ გადაასახლეს ვორკუტაში, სადაც ზამთარი საშუალოდ რვა თვე გრძელდება, ყინვა კი მინუს 50 გრადუსს აღწევს. უამრავი მზაკვრობა ნახა, უამრავი დამსმენი და პროვოკატორი. გადასახლებაში ლევან გოთუამ მაღალი ძაბვის ყუთზე აბრა „სიცოცხლისთვის სახიფათოა“ ჩამოკიდა. თავად ამ ყუთში შეძვრებოდა და ასე, ქაღალდის ნაგლეჯებზე, ასანთის კოლოფებსა და გაზეთის კიდეებზე წერდა რომანებს. ამ ნაგლეჯებს საქართველომდე რომ ჩამოეღწიათ, პატიმრები ხის მორებს გულს ამოაჭრიდნენ, შიგ ფურცლებს ჩადებდნენ და ზონიდან ასე გაჰქონდათ. ზონის გალმა სხვა სანდო კაცი ფურცლებს ამოიღებდა და საქართველოში გზავნიდა, ადრესატი სიმონ ჩიქოვანი იყო. სიმონ ჩიქოვანი ამ ტექსტს აწყობდა და როდესაც ლევანი ჩამოვიდა, დაახვედრა. 11 კაცი მონაწილეობდა ტექსტის გამოტანაში. იმ 11 კაციდან ერთი მაინც რომ ყოფილიყო გამცემი, მთელი გეგმა ჩაიშლებოდა. ასე ნაკუწ-ნაკუწ დაიწერა „გმირთა ვარამის“ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, ისტორიული რომანი, განსაკუთრებული ენითა და სტილით. როდის უნდა მოესწრო ოჯახის შექმნა? ჩამოვიდოდა რამდენიმე წლით, დაიჭერდნენ, კატორღაში აგზავნიდნენ... ალბათ, არც ფიქრობდა ამაზე, არ უნდოდა ცოლ-შვილი დაეტანჯა. ხრუშჩოვის პერიოდში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ლევან გოთუა გაათავისუფლეს, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველოში არ ჩავიდოდა და იქვე დასახლდებოდა. ლევანი არ დათანხმდა: ჩემთვის თავისუფლება სამშობლოში დაბრუნებაა და ამას თუ ვერ შევძლებ, ბანაკიდან არ გავალ, რაღა ღობის იქით მიცხოვრია და რაღა ღობის აქეთო. საქმე ისევ განიხილეს და ამჯერად ხრუშჩოვმა ნება მისცა საქართველოში დაბრუნებულიყო. ახალგაზრდებო, წაიკითხეთ ლევან გოთუა! წაიკითხეთ „გმირთა ვარამი“.

**მონიკა ჭანტურია**

### ნოდარის თასი

# ორი წლის წინ დაგეგმილი იდეა

**მარტის ბოლო კვირას, სათხილამურო სეზონის მიწურულს ბაკურიანში დიდველზე ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაღუპული მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა სათხილამურო სპორტში.**

აღნიშნული ტურნირი წელს პირველად ჩატარდა. მისი ჩატარების იდეა ორი წლის წინ ნოდარის ამხანაგებს გაუჩნდათ. გვესაუბრება ნოდარის თასის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ნოდარის მეგობარი და მეზობელი გია თედიაშვილი: - ვიდექით უბანში ნოდარის სამეგობრო, ვსაუბრობდით, ეს იყო ორი წლის წინ, სანამ კორონავირუსის პანდემია დაიწყებოდა, ზუსტად ათი წელი სრულდებოდა ნოდარის გარდაცვალებიდან და ამ საუბარში გაგვიჩნდა იდეა, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩაგვეტარებინა. ყველამ ერთხმად ავიტაცეთ ეს იდეა. ავაგროვეთ თანხა, ყველა დაგვეხმარა. მაგრამ იმ ზამთარს არ დაგვცალდა მისი ჩატარება, პანდემიამ შეგვიშალა ხელი. შარშან ზამთარსაც ვერ ჩავატარეთ შეზღუდვების გამო და აი, წელს როგორც იქნა სეზონის ბოლოს ვატარებთ პირველად. რაც შეეხება მონაწილეებს, მათი ასაკი შეზღუდული არ არის, ნებისმიერს შეუძლია მონაწილეობის მიღება.



მართლაც, ნოდოს თასზე თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა იასპარეზა - 3-4 წლის პატარებიდან დაწყებული ვეტერანი სპორტსმენებით დამთავრებული. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით, სიგელებით, მედლებით და თასებით. ნოდარ ქუმარიტაშვილის მამამ, დავით ქუმარიტაშვილმა მონაწილეებს დაურიგა წიგნები ნოდარის შესახებ - მინდა მოგიყვეთ შვილზე, რომელიც 2018 წელს გამოიცა და მისი ავტორი ნოდარის დედა, დოდო ხარაზიშვილია. საუკეთესო დროში გამარჯვებულებს ნოდარის თაობის მოასპარეზეებს შორის თითო წყვილი თხილამური გადაეცათ საჩუქრად.

გარდამავალი თასი ერგო ასპარეზობის საუკეთესო დროში გამარჯვებულებს **გია თედიაშვილს და სუსანა გავვას**. ფულადი პრიზები დააწესა აგრეთვე საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაციამ. მისმა პრეზიდენტმა ვოვა ქუმარიტაშვილმა ისაუბრა როგორც ნოდოს თასის ასპარეზობაზე, ასევე ბაკურიანელი მოციგავე საბა ქუმარიტაშვილის გამოსვლაზე პეკინის ოლიმპიადაზე. - რაც შეეხება საბას, ფაქტიურად, ნულიდან დავიწყეთ ვარჯიში დაახლოებით წელიწადნახევრის წინ. ხუთი წელი საერთოდ დანებებული ჰქონდა თავი. როგორც რეზერვისტი, ისე ჩაერთო ვარჯიშში, ძირითადად აქცენტი იყო ჩვენს მეორე მოციგავეზე, გიორგი სოლოიანზე. შემდეგ რიგ მიზეზთა გამო გიორგი საზღვარგარეთ გაემგზავრა და საბამ ძირითადში გადაინაცვლა. შრომის შედეგად მიაღწია იმას, რომ ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა. შეჯიბრებებზე და შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი მთავარი ამოცანა ის იყო, რომ არ წაქცეულიყო, უსაფრთხოდ ჩაემთავრებინა ტრასსა და ქულები აეღო. ეს იყო პროგრამა მინიმუმი და მივაღწიეთ კიდევაც ამას. საბა თავიდანვე ძალიან მოტივირებული იყო, არანაირი შიშის ფაქტორი არ ყოფილა. ზოგადად ძალიან ექსტრემალური ბიჭია. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, დღევანდელი მსოფლიო ვითარებიდან გამომდინარე, შევხედავთ როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ახლა განრიგით სოჭის ოლიმპიურ ტრასაზე უნდა გვქონოდა შეკრება, ვერ წავედით. შემდეგი შეკრება უკრაინაში იგეგმებოდა, მაგრამ მოგეხსენებათ. გასაგები მიზეზების გამო ორივე ჩაგვეშალა.

- რაც შეეხება ნოდარის თასს, ყველა ბაკურიანელი შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდექით ამ იდეის სულისჩამდგმელებს და აი, დღეს მეც ვასპარეზობ. ფედერაციისაგან კი ფულადი პრიზები დავაწესეთ. იმედი გვაქვს ეს ტურნირი ყოველ წელს ჩატარდება და უფრო მასშტაბური გახდება.

**რუსუდან სხირტლაძე**


### ვაკანსია

# სტომატოლოგიური კლინიკა გიწვევთ!

Implant studio. ,,Bborjomi“ – **აცხადებს ვაკანსიას ადმინისტრატორის, ექთანი ასისტენტის და კბილის ტექნიკოსის პოზიციაზე.**

**მოთხოვნები: ადამიანების მიმართ, კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი ენერგიული, სასურველია – ინგლისური და რუსული ენების საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა, მეგობრობს კომპიუტერის კლავიატურასთან, .შეუძლია საოფისე პროგრამებთან მუშაობა, არ ეზარება სწავლა.**

**მისასალმებელია კანდიდატი, ვისაც სამუშაო გამოცდილება აქვს მსგავს პოზიციაზე.**

**გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი ტელეფონის ნომერი, დაგირეკავთ და მოგიწვევთ გასაუბრებაზე.**

**გასაუბრება დისტანციურად და ადგილზე შერჩევის შემთხვევაში, აუცილებელია 1 კვირა სასწავლო კურსის გავლა, რომელსაც კლინიკა უზრუნველყოფს თქვენთვის უფასოდ.**

**გელოდებით!**

**ადმინისტრაცია**


# გურამ ელიზბარაშვილის გახსენება



**გურამ, 12 აპრილს შენი დაბადების დღეა. პირველი წელია, რომელსაც უშენოდ ვხვდებით. რვა თვე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და მოურჩენელი ტკივილი და დარდი დაგვიტოვე. შენი მონატრების სურვილი უფრო მატულობს. იმ ტკივილს, რომელიც შენ დაგვიტოვე, ვერაფერი კურნავს. ვცდილობთ ამ ტკივილს გავუმკლავდეთ, ძალიან გვიჭირს, მაგრამ მაინც ვაგრძელებთ ცხოვრებას. ვიგონებთ იმ დღეებს, რომელიც ყველამ ერთად ტკბილად გავატარეთ და ამ მოგონებებით ვცოცხლობთ.**

**დაბადების დღეს გილოცავთ ცრემლებით. მეტი რა დაგვრჩენია, უნდა ვილოცოთ შენი სულისთვის. ნათელში გამყოფოს ღმერთმა.**

**იხსენებს ოჯახი.**



შოთა და დალი გურგენიძეები ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელდარ ჩადუნელი**

და უთანაგრძნობენ ნონა, თინა და დავით გურგენიძეებს ძვირფასი მეუღლის და სიძის გარდაცვალების გამო.

ნათელა, მურმანი, აჩიკო, პეპელა, ნაზი, კობა ჩუტკერაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი გვარის ბერმუხა, კეთილშობილი ადამიანი

**პლატონ ჩუტკერაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე